# 1870 | 90 წელი ვ. ი. ლენინის დაბადებიდან | 1960

★ ★ ★ ★ ★ ★



პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

*Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА*

№ 14 (289) | გამოცემის მეცხრე წელი | პარასკევი, 22 აპრილი, 1960 წ. | ფასი 15 კაპ.

# ჩვენი ლენინი

ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში მილიონობით ადამიანი ტრიუმფალური ზეიმით აღნიშნავს მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის, საბჭოთა სახელმწიფოს გენიალური შემქმნელისა და ორგანიზატორის, ადამიანთა ბედნიერების დიდი ოქრომჭედლის — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 90 წლისთავს.

„22 აპრილს ჩვენ აღვნიშნავთ ილიჩის დაბადების 90 წლისთავს. კომუნისტური იდეების ტრიუმფი — აი მისდამი დიდი საჩუქარი მადლიერი კაცობრიობისაგან". საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის, ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის ეს სიტყვები დიდი სიზუსტით გამოხატავს თანამედროვე მსოფლიოში ლენინური იდეების ტრიუმფს და მადლიერი კაცობრიობის უსაზღვრო სიყვარულს დიდი ლენინისადმი.

ლენინის დაბადების 90 წლისთავი ეს არის დღესასწაული დედამიწის ყველა კუთხის მცხოვრებისათვის, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლება და სიცოცხლე, ვის მკერდშიც ძგერს ნამდვილად ადამიანური გული, ვინც იცის ცხოვრების ფასი.

კაცი — დიადი, გენიოსი, მტკიცე, ძლიერი, ნებისყოფიანი; კაცი, რომელმაც გაუძლო ისტორიის სასტიკ ქარიშხლებს; კაცი, რომელიც პირველი წარუძღვა წინ თავისუფლებისათვის დაძრულ მასებს, — აი, ვინ არის ლენინი!

ლენინი, — ბელადი პარტიისა, იმ პარტიისა, რომლისთვისაც არ არსებობს უფრო ძვირფასი რამ, ვიდრე ხალხის სამსახურია, უფრო პირველხარისხოვანი რამ, ვიდრე ადამიანის თავისუფლებაა, უფრო დიდი რამ, ვიდრე ხალხის ბედნიერი ცხოვრებაა. ასეთ პარტიას ჩაუდგა ლენინი სათავეში, ასეთი პარტია შექმნა ლენინმა და ასეთი პარტიის მტკიცე იმედით შეებრძოლა ამ ქვეყნად გაბატონებულ უსამართლობას.

ლენინის სახელი ძვირფასი და მახლობელია ყველა მშრომელისათვის.

ლენინიზმი ცოცხლობს, დღეგრძელობს, იმარჯვებს! მისი გამარჯვების მოწმე ვხდებით ჩვენ ყოველდღიურად, ყოველ საათს, ყოველ წუთს. დაწყებული რევოლუციის მრისხანე დღეებიდან ჩვენი დღეების ტრიუმფალურ მიღწევებამდე ლენინი იყო და არის ჩვენთან, როგორც ტრიბუნი, როგორც დამრაზმველი, როგორც ერთგული და საიმედო მეგობარი...

დიდმა ლენინმა დაიცვა და განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა მარქსიზმი.

დიდი ლენინი იყო მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ბელადი და წინამძღოლი, იმ სახელმწიფოსი, რომელმაც თვალნათლივ დაადასტურა, თუ რა შეუძლია განთავისუფლებულ ხალხს, როგორ ახდენს იგი სასწაულებს ცხოვრების ყველა სფეროში.

დიდი ლენინი არის შემქმნელი უდიდესი მნიშვნელობის თხზულებებისა, იმ თხზულებებისა, რომლებიც გზას უნათებენ კაცობრიობას მომავლისათვის ბრძოლაში.

ლენინი არის ჭეშმარიტი ადამიანი, რომლისთვისაც არ არსებობდა დიდი და მცირე რამ, ძნელი და ადვილი რამ, ოღონდ მხარში სდგომოდა ხალხს, ოღონდ ემსახურა ხალხისათვის, ხალხის ბედნიერი მომავლისათვის. უბრალო და თავმდაბალი, გულისხმიერი მეგობარი და ამხანაგი, ყოველივე ჩამორჩენილის, რუტინის, უძრაობის დაუძინებელი მტერი, ყოველივე ახლის, პროგრესულის, იმედიანის მხარდამჭერი, გეზის მიმცემი, — აი, როგორი იყო ლენინი, აი, როგორი ახსოვს იგი ყველას, ვისაც კი ერთხელ მაინც უნახავს მისი ნათელი სახე.

დიდი ლენინის ხსოვნას სამარადისოდ შეინახავს ისტორია.

დღეს, როცა მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა ზეიმობს კომუნისტური პარტიის შემქმნელისა და ბელადის — ლენინის დაბადების 90 წლისთავს, ყველაზე უფრო თვალნათლივ ვხედავთ ლენინიზმის ცხოველმყოფელი მოძღვრების ბრწყინვალე შედეგს. ყველგან, ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში, — ჩრდილოეთიდან სამხრეთით, აღმოსავლეთიდან დასავლეთით, — ფაბრიკა-ქარხნებში თუ საკოლმეურნეო მინდვრებზე, სოფლად თუ ქალაქად იზრდება და მტკიცდება ცხოვრება, რომლის შექმნასაც მოახმარა თავისი ჭეშმარიტად დიადი სიცოცხლე ლენინმა.

ამ დიად საზეიმო თარიღს წარმატებებით შეეგება ქართული მეცნიერების ტაძარი — ჩვენი უნივერსიტეტი, რომელიც ერთგულად და თავდადებით ემსახურება ახალგაზრდობის ლენინური, კომუნისტური იდეების სულისკვეთებით აღზრდის დიდ სახელმწიფოებრივ საქმეს.

ჩვენი უნივერსიტეტის სახელოვანი კოლექტივი მარად ერთგული იქნება ლენინისა, ხალხისა, პარტიისა, მისცემს დედა-სამშობლოს ამ სამი მშობლიური სიტყვის დიდი სინათლით გულანთებულ მომავალ თაობას!

ლენინი! — კაცობრიობამ გაიმზევა. გაიიმედა ეს უკვდავი სახელი!

კომუნიზმი! — კაცობრიობა მიდის ამ ბედნიერი მომავლისაკენ ლენინის ნაჩვენები გზით.

როგორც ვ. მაიაკოვსკიმ თქვა, —

„ლენინი ცოცხლობდა,
ლენინი ცოცხლობს,
ლენინი იქნება ცოცხალი!"

---

ლენინის სიდიადე სწორედ ის არის, რომ იგი თეორიას გენიალურად ახამებდა პრაქტიკასთან, ავითარებდა თეორიას, განაზოგადებდა რა ცხოვრების ახალ-ახალ მოვლენებს, შეეძლო შეენიშნა საზოგადოების განვითარების მთავარი ტენდენციები და აიარაღებდა პარტიასა და მუშათა კლასს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ნათელი პროგრამით.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა თქვა: „კომუნიზმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია". ეს ბრძნულად და შორსმჭვრეტელურად იყო ნათქვამი.... ლენინის ფორმულის გენიალობა ის არის, რომ ამ ფორმულით ერთიანობადაა მოცემული სოციალიზმის მშენებლობის პოლიტიკური (საბჭოთა ხელისუფლება) და ეკონომიური (მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია) მხარეები.

ნ. ს. ხრუშჩოვი

---

ავთანდილ გურგენიძე

## შენ გელოდა დედამიწა...

შენ გელოდა საუკუნე —
განა ერთი,
განა სამი?..
შენ გელოდა დედამიწა
უმზეობით განაწამი.
ხალხი — ბორკილდადებული,
რომ ჰკარგავდა მუდამ შვებას,
შენ გელოდა —
მზის ამოსვლას
და სიცოცხლის უკვდავებას.
მზე იყავი მიწიერი,
დიდებული
სოლცარი;
მზე —
ჩაგრული ხალხის მხსნელი,
კაცადქმნილი, მნათი, მძლავრი.
იყვნენ
ზამთრის სასახლეში
შენი აზრით დაზაფრულნი,
შენ ოქტომბრის ქარტეხილში
მოიყვანე გაზაფხული...
შენი ლვიძლი კერა გახდა
მოსკოვი თუ
სამარყანდი,
შენ იყავი მუდამ ხალხთან,
მთელ ქვეყანას მამად მუავდი!
მზე იყავი ამოსული,
განა ცაზე? —
ხალხში ჩანდი;
მზე იყავი:
ამოდი და
ისევ ხალხის გულში ჩადი...
მზე იქნები, თუნდაც ქვეყნად
ქარტეხილთა ძალა ქროდეს..
არასოდეს დაბნელდება
მზე ხალხისა —
არასოდეს!

